F262 ნ13028

სამშაბათი, 1918 წ. მკათათვის 2 № 127

წელიწადი მეოთხე

სამშაბათი, 1919 წ. მკათათვის 2 № 127

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ; რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

საქართველოს რესპუბლიკის ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

ხელნაწერები უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ მხარეზე. წერილებში და ადრესებში აუცილებლად საჭიროა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი და მისამართი. უშარისობით გამოგზავნილი ხელნაწერები არ ბრუნდება. დაუბეჭდავი ხელნაწერის შესახებ ცნობა მხოლოდ მარკის დართვის შემთხვევაში გაიცემა.

რედაქცია დღე და ღამის 9—3 საათებში, გარდა უქმე დღისა. ხანდახან ცნობის მისაღებად დამატებითი მოლაპარაკება შეიძლება სხვა დროსაც.

ადმინისტრაცია: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ენისთვის: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრაფის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კონტორა

ხელნაწერის მიღება და წერილების მოთხოვნა ხდება ყოველ დღე (სხვადასხვა ნაწილში) 6 ს. და 50 კ.-დან 8 ს. 30 კ. განცხადების ფასი სტრიქონი ჩვეულებრივ შრიფტით 50 კ.-ით, ხელახალ შრიფტით—80 კ.-ით. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხანგრძლივად განცხადება თითოეული ნომრით: 20×2=15 მანეთი, 80×2=20 მანეთი. მიხედნიათ გამოცემა დიან ქალაქში 1 მან. ქალაქგარეთ 1 ს. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოწვდინილ იქნას არა ვადაზე 1½ საათით ადრე კონტორაში. კონტორა დიან დილის 9 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭო და სასამართლო გლოვით აუწყებს ქართველ ერს, რომ თიბათვის 26—27 მამა ანტონის მარტო მყოფელის მონასტერში დღითივ მიიცვალა უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოსი

კირიონ მეორე.

მისის უწმინდესობის ნეშთი გამოსვენებულ იქმნება კათალიკოზის კარის ეკლესიიდან ანჩისხატის ტაძარში დღეს, სალამოს 6-ნახევარ საათზე. პანაშვიდები ყოველ დღე შუადღის 12 ს. და სალამოს 7 ს., დაკრძალვა ხვალ, მკათათვის 7, სიონის ტაძარში. (5—976—1)

სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭო და სასამართლო გლოვით აუწყებს ქართველ ერს, რომ ამა თიბათვის 26—27-ს მამა ანტონ მარტომყოფის მონასტერში დღითით მიიცვალა, უწმიდესი და უნეტარესი

კათოლიკოზ-პატრიარქი სრულიად საქართ.
კირიონ მეორე

პანაშვიდები ყოველ დღე შუადღის 12 საათზე და სალამოს 7 საათზე კათოლიკოზის კარის ეკლესიაში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

(1—1)

სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭო და სასამართლო გლოვით აუწყებს ქართველ ერს, რომ ამა ივნისის 26—27-ს მამა ანტონ მარტომყოფის მონასტერში დღითით მიიცვალა უწმიდესი და უნეტარესი კათოლიკოზ-პატრიარქი სრულიად საქართველოსა

კირიონ მე-II

პანაშვიდები ყოველ დღე შუადღის 12 საათზე და სალამოს 7 საათზე კათოლიკოზის კარის ეკლესიაში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

უზომოდ დამწუხრებული ივანე პოსტომის ძე მიქაძე და მეუღლე მისი ივდითი მახარობლის ასული და შვილები მათი ნიკოლოზ-, თამარი, ნინო, გიორგი და ელენე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 29 მკათათვეს, სალამოს 8 საათზე, გარდაიცვალა პირველთა შვილი და უკანასკნელთა და, ძვირფასი და დაუვიწყარი

მარიამ (მარუსა) ივანეს ასული მიქაძე

პანაშვიდი დღეს, სალამოს 6 ნახევარ საათზე არამიანცის სახელობის საავადმყოფოს სამლოცველოში, საიდანაც ოთხშაბათს, 3 ივლისს გამოსვენებულ იქნება სალამოს 6 საათზე საკუთარ სახლში (კალგუროვის ქუჩა, № 17). ხვალ პანაშვიდი. გამოსვენება ხუთშაბათს, 4 ივლისს, სახლიდან წმ. მარინეს ეკლესიაში დილის 9 ნახევარ საათზე. წირვა და დაკრძალვა იმავე დღეს პეტრეპავლეს სასაფლაოზე.

3—1679—1

ანტონ ყარამანის-ძე და ანნა მახვილის ასული შვილით შაღვათი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი დაუვიწყარი ძმის, მეორე ძმაზლისა და მესამე ბიძის

დავით ყარამანის-ძე ნაცვლიშვილის

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა სოფ. მადაროში. დაკრძალვა იქვე 4 ივლისს.

(1—1)

ივანე ყარამანის ძე და სოფიო ზაქარიას ასული ნაცვლიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი დაუვიწყარი ძმის, მეორე—ძვირფასი მაზლის

დავით ყარამანის ძე ნაცვლიშვილის

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა სოფ. მადაროში. დაკრძალვა იქვე 4 ივლისს.

(1—1681—1)

ნინო ფორუმუზის ასული, ალექსანდრე, თამარ და მაკა დავითის ძე და ასული ნაცვლიშვილები, ელისაბედ ფორუმუზის ასული ანთაძისა, ვლადიმერ ფორუმუზის ძე წითლიაშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, პირველი ძვირფასი შეუღლისა, მეორე, მესამე და მეოთხე მამისა, ხოლო დანარჩენები დაუვიწყარ სიძისა

დავით უარამანის ძე ნაცვლიშვილის

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 29 თიბათვეს სოფ. მადაროში. პანაშვიდები ყოველ დღე. დაკრძალვა იქნე 4 ივლისს საგვარეულო ეკლესიაში. 3—1680—1

საქართველოს რესპუბლიკის ჯარის გამოკვების საინტენდანტო ნაწილი, სასურსათო საქმის სამინისტროსთან შეთანხმებით, ამით აცხადებს, რომ ჯარის თვის საჭიროა ხორბალი,

ძერი, შვრია, სიმინდი და თივა.

ზემო ჩამოთვლილი სურსათი მიიღება საინტენდანტო სასურსათო საწყობებში და რკინის გზის სადგურებზედ და სახაზინო ტომრებით, მსურველთ უნდა შეგოიტანონ საინტენდანტო ნაწილში განცხადება, სადაც დასახელებული უნდა იყოს რაოდენობა და ფასი სურსათისა, აგრეთვე ადგილი, სადაც ჩაბარებენ სურსათსა. მისამართი, ნიკოლოზის ქუჩა № 51 3—1

პოლიტიკური სიტუაცია

მახლობელს დროში უნდა გაიხსნას სტამბოლის კონფერენცია, რომელზედაც უნდა გამოირკვეს საბოლოოდ ოთხთა კავშირის სახელმწიფოების დამოკიდებულობა სიქართველოსთან.

საქართველო ამ ჟამად განსაკუთრებულად ძნიმე პოლიტიკურ მდგომარეობაში იმყოფება და მით უფრო მეტი ზნიშვნელობა ენიჭება მისთვის სტამბოლის საზავო კონფერენციას. პატარა ერს იმდენი სიძნელე და ხიფათი, საგარეო და საშინაო გასაჭირი დაატყდა თავის უფალ სახელმწიფოებრივობის აღდგენის პირველსავე დღეებში, რომ არამც თუ გასაგებია მისი დღევანდელი პოლიტიკური უძლურება, არამედ გასაკვირველია რომ ის სავსებით არ იმსხვერპლა საშინელმა ანარქიის ცეცხლმა.

ოთხთა კავშირის სახელმწიფოები საქართველოს იმდენად გაუწევენ ანგარიშს, რამდენად ის სახელმწიფოებრივ ერთეულს წარმოადგენს. რამდენად მას შესწევს ძალა სახელმწიფოებრივი ცხოვრების შესაგნებლად და განსამტკიცებლად. ერთი იქნება ამ სახელმწიფოების დამოკიდებულება საქართველოსთან, თუ ისინი დარწმუნებულნი იქნებიან, რომ სიქართველოს ყოველივე მოეპოება საკუთარი სახელმწიფოებრივობის დასამყარებლად და სულ სხვა გვარი იქნება მათი საქართველოსთან ურთიერთობა, თუ ისინი დარწმუნდნენ, რომ საქართველოს ამის ძალა არ შესწევს.

ჩვენს დღევანდელს ვითარებას რომ გარედან თვალს გადაავლებენ, მოსალოდნელია, რომ ბეგრისათვის საეჭვოთ გახდება საქართველოს საკუთარი ძალებით სახელმწიფოებრივი ცხოვრების განმტკიცების შესაძლებლობა. საშინელი ანარქია და ამბოხებები საქართველოს თითქმის ყოველს კუთხეში, საერთო უწესრიგობა და ცხოვრების დაუწყობლობა—ასეთს სურათს წარმოადგენს ჩვენი ცხოვრება ერთი თვალის გადავლებით. მაგრამ საჭიროა ჩვენი ცხოვრების სინამდვილის უფრო დაკვირვებული გაჭვრეტა, რომ დავრწმუნდეთ, რომ ამ ხიძნელეს ნათელიც თან დასდევს და ეს ნათელი საიმედო საფუძველია საქართველოს მომავლისათვის. საქართველომ საშინელებენ მხოლოდ გარეგნული მოვლენებით, არამედ არსებითად გაითვალისწინებენ იმ სიძნელეთ, რომელნიც წინ ელობება ახლად აღდგენილ სახელმწიფოს.

მათაც, დღეს ძლიერთ და მოწყობილთ, მრავალი პოლიტიკური კრიზისი და სირთულე განუცდიათ თავის წარსულში.

ჩვენ გვწამს, რომ გერმანიის ინტერესებს სავსებით ეთანხმება აღდგენა ძლიერი საქართველოისა, რომელიც ბუნებრივი თავისი ინტერესებით მასთან იქმნება მტკიცედ დაკავშირებული. და ის თანაგრძნობა და რეალური დახმარება, რომელიც ჩვენთვის დღემდე მას გამოუჩენია საქართველოსთვის, გვაიმედებს, რომ ძლიერი გერმანიის კოალიცია მომავალშიც დახმარებას გაუწევს ჩვენს ქვეყანას დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების განმტკიცების გზაზე.

პროვოკაცია

სოციალ-დემოკრატიულ ორგანოებს უკანასკნელ დროს ნამეტანი რუსოფილური სუნი უდით; ამაზედ შემდეგაც მოგახსენებთ (გადათვალიერეთ „ბორბას“ და „ერთობის“ უკანასკნელი ნომრები), მაგრამ ეხლა აუცილებლად უნდა მივაქციოთ მკითხველისა და მთავრობისაც იმ უმეტეს წერილზედ, რომელიც იყო მოთავსებული გაზეთ „ბორბაში“ № 104. ვიწმე „Вл. В.“, გადმოცემული სოციალ-დემოკრატიული ეტიკეტით, ისე უდიერად ელაპარაკება გერმანიას, თითქო იგი ძლიერი და მეგობრულად განწყობილი მოკავშირე კი არ იყოს „საქართველოსი“, არამედ ვინმე „ვოტიაკების“ ან „ტუტარაკანის“ რესპუბლიკა, რომლის აბუჩად აგდება ხელობადა ჰქონდა გახდილი ძველ „დერჟიმორდების“ ქვეყანას.

საინტერესოა ვიცოდეთ, რას წარმოადგენს „ბორბა“: არის ეს ოფიციალური გამოცემა მთავრობისა, მისი ოფიციოზი დამცველი, საქართველოს მეთაური პარტიის ორგანო თუ ჩვენს ქვეყანაში უპასუხისმგებლო უცხო ტომის პარტიის ორგანო?

ეს მეტად სერიოზული საკითხია, ვინაიდან ჩვენს მთავრობას ჯერ, ეტყობა, ვერ მოუცლია იმ უბრალო ფაქტს გაუწიოს ანგარიში, რომ შეუძლებელია უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომმა და ნამეტნავად პარტიამ ჩვენს ქვეყანაში აწარმოვოს თავის პოლიტიკა.

დღემდე, როცა საქართველო უკვე დამოუკიდებელია, „ბორბას“ მოურიდებლად აწერია თავზედ „Россійская Соціалъ-Демократическая Рабочая Партія“ და ამ უცხო პარტიის პირით საქართველოს ერის სახელით კი ელაპარაკებიან გერმანიას. წაიკითხეთ „გერმანია და საქართველოს რესპუბლიკა“, წერილი ზემოხსენებული „Вл.“-ისა და თქვენ დარწმუნდებით, რომ საქართველოში სცხოვრობენ დაახლ. რად პროვოკაციას ეწევიან უცხ. ბი, რომელთაც სურთ გადაგვ ჯერჯერობით ერთად-ერთ სახელ ფოს, რომელმაც მეგობრული და. მიგამოუწოდა საქართველოს. ის ცდაცები კილო, ამაყი გამოთქმა და პრეტენზიანდადები, რომელსაც ქართული ერის სახელით ასადებს „ბორბა“ პირდაპირ შეურაცხმყოფელია არა მარტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრებისა, არამედ ჩვენი მთავრობის ღირსებისა და პრესტიჟისაც. ჩვენი რესპუბლიკის მთავრობას და ხალხს არ შეუძლიან ასეთი უხეში თამაშარაკი, რომელსაც ქართულად სახელი არა აქვს და რუსულად კი ეწოდება „Русское хамство".

„ბორბას" ხელმძღვანელები ბევრად არ ჩამორჩებიან რუსის სხვა გაზეთების ხელმძღვანელებს და დიდი სიფხიზლე სჭირია ჩვენს მთავრობას, რომ ამ მეგობარის და სოციალდემოკრატიის ქურქში გახვეულ მგელს არ შეაჭამოს თავისი სამწყსო.

ჩვენ უზრუნველყოფილნი არა ვართ გერმანიის უკმაყოფილებისაგან, თუ ჩვენს დედაქალაქში გამოდის რუსეთის იმ პარტიის გაზეთი, რომელსაც სათავეში აქამდის ჩვენი ეხლანდელი მთავრობა ედგა და ქადაგებს ისეთ აზრებს, ძირშივე რომ სპობს მეგობრულ განწყობილებას გერმანიასთან, როგორც სახელმწიფოსთან. და ეს ხდება სწორედ მაშინ, როცა მთელი ქართველი ერი პირს იბრუნებს გერმანიისაკენ და როდესაც გერმანიის მთავრობის წარმომადგენელი გულწრფელად და გულითადი სიმპატიით უსურვებს ქართველ ერს—„ძლიერს თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო", როდესაც გერმანია და მისი მოკავშირენი თავის წარმომადგენელთა პირით გვევლინება თბილისში და აღუთქვამს დახმარებას სტამბოლში იმ შეცდომათა შესასწორებლად, რომელნიც ჩვენ ჩავიდინეთ; როდესაც ისინი გვიცხადებენ სრულს ნდობას და გვთხოვენ ნდობას, გამოდის რაიაც „ბორბა", რუსული და რუსეთის ქვეშევრდომი და უნდობლობას უცხადებს გერმანიას—ეს არის ფაქტობა, შესაფერი რუსების უკულტურობისა, მაგრამ ჩვენ გვიკვირს, რომ ზრდილსა და თავის თავის პატივისმცემელ საქართველოში, სადაც მხოლოდ მთავრობა უნდა ელაპარაკებოდეს უცხოელებს—ერის სახელით,—ლაპარაკობენ უპასუხისმგებლო უცხოელნი და პასუხს არავინ სთხოვს. ეს მდგომარეობა შეუწყნარებელია, რადგან ეს წმინდა წყლის პროვოკაცია არის და მთავრობამ უნდა იზრუნოს, რომ ასეთის გამოსვლებს ჩვენი ქვეყნის ფარგლებში ადგილი არა ჰქონდეს.

რაგ.

ომი

დასავლეთის ფრონტზე.

გერმანიის ცნობა

ბერლინი, 30 ივნისის სამხედრო ცნობა. კრონპრინცის რუპრეხტის არმია. ლისის ჩრდილოეთით ძლიერ საარტილერიო სროლას მოჰყვა ქვეითა ჯარების ბრძოლა. მტრისის სამჯერ მოტანილი იერიშები მათთვისვე ცუდი შედეგებით და ზარალით დაინიშნა. ბრძოლის შუა გულში მოწინააღმდეგეთ შესძლეს ვიე-ნერვეინში შემოჭრა. კონტრ-იერიშებით მათი წინსვლა შევაჩერეთ და გადავრეკეთ ამ სოფლიდან დასავლეთისკენ. მერვილეს ჩრდილოეთით მოწინააღმდეგეთა იერიშები ცეცხლით მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტზე გაცხოველებული საარტილერიო მოქმედება, რომელიც მთელ დღეს სწარმოებდა, დილით შემცირდა. ...კას სამხრეთ დასავლეთით ძლიერი იერიშები და მრავალ-რიცხოვანი მზვერავი რაზმები მოვიგერიეთ.

გერმანიის კრონპრინცის არმია. მდ. ...ის ჩრდილოეთით ფრანგებმა დაიწყეს იერიშები, რომელსაც ზურგს უმაგრებს ძლიერი ცეცხლი, ამბლენთან საშინელი ბრძოლის შემდეგ იერიშები მოვიგერიეთ. კუტრის წინ მათ დაიკავეს რამდენიმე ადგილი, მაგრამ ჩვენი კონტრიერიშებით ამ ადგილის ორი... ...სიმაღლეებზე უკან გადმო... ...წინააღმდეგეთ აუარებელი ...ავტომობილებით ...ჯარისათვის ხელი შეეწყობა... ვილერ-კოტრე ...ის ...ვდივით უკან დახეულ მოწინააღმდეგეს მათ პირველ პოზიციებზე ...წამოვიყვანეთ ტყვეები. ...ლაში მტერი ძლიერ და... ჩამოვაგდეთ 19 ჰაეროპლანი. ლეიტენანტ უდეტმა ჰაერის ბრძოლაში გაიმარჯვა მე-35-ჯერ, ლეიტენანტ ლევენჰარდმა მე 30 ჯერ.

...30 ივნისი. ლისის ჩრდილოეთით და მდ. ენის სამხრეთით მთელი დღის განმავლობაში ძლიერი საარტილერიო მოქმედება სწარმოებდა. საარტილერიო ბრძოლა საღამოს იზერისა და მარნას ფრონტის ზოგიერთ ადგილებშიც გაძლიერდა. სწარმოებდა ქვეითა ჯარების პატარა ბრძოლები, და გაძლიერებული მზვერავთა მოქმედება. იერიში მივიტანეთ გერტმანსვეილერკოფს ახლო და ტყვეები წამოვიყვანეთ. ლეიტენანტ უდეტმა პერის ბრძოლაში გაიმარჯვა მე-36 ჯერ, ლეიტენანტ ლოვენჰარდმა 31-ჯერ. ლეიტენანტ იაკობსმა უკანასკნელ დღეებში ჩამოაგდო მე-20, 21 და 23 აეროპლანი.

მთავრობის წრეებში

25 ივნისის სხდომაზე მთავრობამ იმსჯელა იმის შესახებ, რომ პროვინციაში ანარქია ბოლო დროს ძლიერდება. დადგენილ იქმნა მთავრობის თავმჯდომარეს, სამხედრო მინისტრს და შინაგან საქმეთა მინისტრებს დაევალოს მიიღონ ენერგიული ზომები ანარქიის ჩასაქრობად.

—

მოწონებულ იქმნა იუსტიციის მინისტრის მოხსენება სიკვდილით დასჯის შემოღების შესახებ. მინისტრს ევალება ეს მოხსენება ეროვნულ საბჭოში შეიტანოს რიგს გარეშე განსახილველად.

—

სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარე რ. არსენიძე თანამდებობიდან გადადგა. მთავრობამ დაადგინა ამ თანამდებობაზე დაინიშნოს ან სახელმწიფო კონტროლიორი ფ. გ. გოგიჩაიშვილი, ან ერთ-ერთი მისი ამხანაგი. ხსენებულ კომისიის წევრებად დაინიშნენ: რ. არსენიძე და მ. რუსია.

—

ალ. კრინიცკის შუამდგომლობა მისი გვარის დარახველიძედ შეცვლის შესახებ მიღებულ იქმნა.

—

ვლ. მიქელაძის და სხვათა შუამდგომლობა ხაზინიდან იურიდიულ თათბირის დადგენილების თანახმად მათთვის 43000 მან. მიცემის შესახებ, ტრანსპორტებზე ნაწილ ზარალის დასაფარავად, ცალკე კომისიას გადაეცა განსახილველად.

—

საქალაქო საფუთო გადასახადის პროექტი, რომელიც თბილისის ქალაქის თვითმართველობის ინიციატივით იქმნა შეტანილი, გზათა მიმოსვლის მინისტრს გადაეცა განსახილველად.

ჭიათურის ამბავი

(პირდაპირი მავთულით)

ჭიათურის მუშათა საბჭოს თავმჯდომარე იტყობინება, რომ ჭიათურაში უკვე სიწყნარეა. დ. საჩხერე ჩვენმა ჯარმა გასწმინდა. მცხოვრებთ წაუყენეს ულტიმატუმი იარაღის ჩაბარების შესახებ. პირველ შეტევის დროს მოკლული იქმნა სამი კაცი, შემდეგ-კი მსხვერპლი არ ყოფილა. მოკლული აღმოჩნდნენ მილიციონერები: მაღლაკელიძე და ქაჯაიაძე, მესამის გვარი არ არის გამორკვეული. ჭიათურაზე თავდასხმა არ ყოფილა. ადგილობრივ მცხოვრებთაგან არავინ დაზარალებულა. ბრბო შედგებოდა ყოფილ ჯარისკაცთაგან და ოსებისაგან.

სახალხო გვარდია

სიტყვა, თქმული გახილ წერეთლის მიერ ეროვნული საბჭოს 21 ივნისის სხდომაზე.

ბატონო ეროვნულ საბჭოს წევრებო!

„სახალხო გვარდიის" სახელწოდება სრულიად არ შეესაბამება სოციალდემოკრატიული ფრაქციისა და მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის შინაარსს.

ის გვარდია, რომელსაც კანონპროექტი გულისხმობს, არ იქნება სახალხო, ვინაიდან, ჯერ ერთი, ხალხის მიერ არჩეული არ იქნება და, მეორე, ხალხს არ დაემორჩილება.

უკეთ რომ ვთქვათ, იგი—პარტიული, ე. ი. სოციალდემოკრატიული, გვარდია იქნება.

იმავე დროს ის არც სოციალდემოკრატიულ პარტიაზე იქმნება დამოკიდებული.

ერთი სიტყვით, ხსენებული გვარდია სრულიად დამოუკიდებელი სამხედრო ორგანიზაცია იქნება, რომელიც თავის წევრებს თვითონვე აირჩევს და თითქმის არავის არ დაემორჩილება.

ამ გვარდიას ეყოლება თავისი თავი—მთავარი შტაბი, რომლის მიერ არჩეულ კანდიდატებსაც მთავრობა დაამტკიცებს.

გვარდიის გამოწვევის უფლება მხოლოდ პირველ მინისტრსა და ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს ექნებათ და ისიც გვარდიის მთავარი შტაბის საშუალებით.

მთავარი შტაბი და პროვინციული შტაბები გვარდიას განსაკუთრებულ შემთხვევებში დამოუკიდებლად გამოიწვევენ.

ერთი სიტყვით, „სახალხო გვარდია"—დამოუკიდებელი სამხედრო ძალა იქნება, რომელსაც ხალხთან კავშირი გაწყვეტილი ექნება.

იგი იქნება სახელმწიფო სახელმწიფოში!

მაგრამ ორი სახელმწიფო ერთის ტერიტორიაზე შეუძლებელია, კონფლიქტი და შეხლა მათ შორის აუცილებელია.

ორი სამხედრო ძალა, ერთმანეთის პირისპირ მდგარი, ერთმანეთზე დამოუკიდებელი, შეიძლება მოთავსდეს ერთად?!

წითელი გვარდიის მეთაურმა ჯუღელმა სთქვა: წითელი გვარდია ჩვენ გვინდა, როგორც საფრთხობელა, შეცილებელი ძალა რეგულიარული ჯარის პირისპირო. მას არ ატყუებს წინათგრძნობა. მაშასადამე ეს ორი მოპირისპირე სამხედრო ძალა—რეგულიარული ჯარი და სამხედრო გვარდია—მომავალი სამოქალაქო ომის ჩანასახია.

და, ვფიქრობ, რომ სახალხო გვარდია, რომელსაც ხალხთან კავშირი გაწყვეტილი ექნება, რესპუბლიკური წესწყობილებისა და სამოქალაქო თავისუფლებისათვის საშიში იქნება!

ამიტომ სურს ჯუღელს მიაფუჩეჩოს, დამალოს ის უნდობლობა და განხეთქილება, რომელიც რეგულიარულ ჯარსა და წითელ გვარდიას შორის არის. და საწყენია ის, რასაც ვიწყვეთ, მაგრამ რას მოვიგებთ, თვალი რომ განგებ დავხუჭოთ?! და მოვალედ ვთვლი თავს ვსთქვა სიმართლე: ხალხსა სძულს წითელი გვარდია.

მაშასადამე, ვიდრე წითელი გვარდია იქნება, ხალხი არ დაწყნარდება. და წითელ გვარდიას ანარქიასთან ბრძოლა არ შეუძლია!

ამგვარად, როდესაც მთავრობა წითელი გვარდიის საშუალებით ებრძვის ანარქიას, ანარქია არა თუ არა ჰქრება, არამედ კიდევ უფრო იზრდება. მაშასადამე თქვენ ანარქიასთან ბრძოლა, წესიერების აღდგენა არ შეგიძლიათ. პირიქით, მარცხენა თქვენი ანგრევს იმას, რასაც მარჯვენა თქვენი აშენებს!

და, უეჭველია, ანტაგონიზმი ხალხსა და წითელ გვარდიას შორის უფრო და უფრო გაღრმავდება, წითელი გვარდიის ინტერესები ხალხის ინტერესებს შეეჯახება და მაშასადამე მოსალოდნელია, რომ წითელმა გვარდიამ ხალხს თავისუფლების ბოლო მოუღოს!

იმავე დროს სახალხო ანუ—როგორც იგივეა—წითელი გვარდია—ბოლოს და ბოლოს თავის დედას—სოციალდემოკრატიულს პარტიასაც კი გადამტერს: ისტორია გვეუბნება, რომ პრეტორიელები თავისი ბატონებისათვის საშიში ყოფილან.

გვეუბნებიან: დღეს, როდესაც მცირე რეგულიარული ჯარი გვყავს, გარეშე მტრებთან ბრძოლაში ძალაუნებურად სახალხო გვარდიას უნდა დავეყრდნოთ.

მაგრამ, ჯერ ერთი, როგორც დამტკიცდა, რეგულიარულ ჯართან ბრძოლაში წითელი გვარდია გამოსადეგი არ არის; მეორე, რეგულიარული ჯარი ომიანობის დროს დისციპლინის არღვევს, დეზორგანიზაციას, დაშლილობას შეაქვს რეგულიარულ ჯარში; და, მესამე, თუ მცირეა რეგულიარული ჯარი, რისთვის არ გაადიდებთ?!

სამხედრო მინისტრმა სთქვა: ბორჯომის ხეობაში წითელი გვარდიელები ჩივიან, ერთი თვეა სანგრებში ვართ და არავინ გამოგვცვალაო. ვფიქრობ, რომ სამხედრო მინისტრმა თავის თავსვე დასდო ბრალი რატომ არა ჰყავს საკმაო რეგულიარული ჯარი?!

უეჭველია კი რომ, თქვენ რომ წითელი გვარდიის შექმნას ენერგია მოახმარეთ, იმ ენერგიის თუნდ ერთი მეათედი დაგეხარჯათ რეგულიარული ჯარის შექმნისათვის, დღეს საკმაო რეგულიარული სამხედრო ძალა გვექნებოდა!

მაგრამ თქვენ რეგულიარულ ჯარს უფრთხით და მაშასადამე ვერ შექმნით!

და, რასაკვირველია, როგორც სთქვა სამხედრო მინისტრმა, რეგულიარული ჯარი თანდათან უნდა შევამციროთ და სახალხო მილიციას სისტემა უნდა შემოვიღოთ?! ეს მეოცნებელი უტოპია არის! საქართველო მტრებით გარშემორტყმულია და მისი ტერიტორიის განაპირა კუთხეები არაქართველ ერებით დასახლებულია, და, ჩვენ რომ ეს არაქართველი ერები შევიარაღოთ, ვინ მოგვცემს პირობას, რომ ამ იარაღს ჩვენს წინააღმდეგ არ მოიხმარებენ და ჩვენს მტრებს საქართველოს კარებს არ გაუღებენ?!

დასასრულ არ შემიძლია არ ვუპასუხო ჯუღელს და სხვა სოციალისტებს ერთის უსამართლო ბრალდებაზე, ეროვნული დემოკრატები წითელ გვარდიაში არ ეწერებიან და მაშასადამე მტერთან ბრძოლას გაურბიანო, გვკიცხავენ, მაგრამ წითელ გვარდიასა და პარტიულ რაზმებს ჩვენ თავიდანვე უარყოფით ვეკიდებოდით და ჩვენს ახალგაზრდობას რეგულიარულ ჯარებში შესვლას ვურჩევდით, და ამას ხსენება იმ ახალგაზრდების, რომელნიც საშიშროების მომენტში გმირულად იცავენ და სხვაგვარად ეწერებიან, არავის არ ეკადრება!

ამგვარად, თუ გვსურს აღვადგინოთ სამოქალაქო ცხოვრებაში წესიერება და ჯარში დისციპლინა და უშიშარ ვყოთ რესპუბლიკა გარეშე მტრის შემოსევისაგან და შევინახოთ დამოუკიდებლობა, სახალხო ანუ წითელი გვარდიის ნაცვლად ძლიერი რეგულიარული ჯარი უნდა შევქმნათ: მაშასადამე კანონპროექტი „სახალხო გვარდიის" შესახებ უნდა უარყოფილ იქნეს!

სახალხო გვარდია და რეგულარული ჯარი

დ. ვაჩნაძის სიტყვა

(წარმოთქმული საქართველოს ეროვნულ საბჭოს თიბათვის 21-ს კრებაზე)

საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრნო!

ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის პოზიცია საქართველოს ჯარის მოწყობის საკითხში ნათელია: საქართველოს საგარეო და შინაური მდგომარეობა აიძულებს მას შეუწყოს ხელი ერთიან და ძლიერ რეგულიალურ ჯარის დაუყოვნებლივ შექმნას. წარსულის მწარე გამოცდილებამ უფრო განამტკიცა ეს ჩვენი შეხედულება საქართველოს პირველ მთავრობამაც გაიზიარა ეს აზრი თავის დეკლარაციაში. პრემიერ მინისტრმა კატეგორიულად განაცხადა: საქართველოს მთავრობის პირველი ნაბიჯი საკუთარ რეგულიალურ ჯარის მოწყობისათვის გადიდგმებაო. ამიტომ ერთგვარ უცნაურ დისონანსად ჩაითვლება ის ფაქტი, რომ დღეს იმის მაგიერ, რომ ჩვენ ვიკვლევდით და ვამტკიცებდით საქართველოს რეგულიარულ ჯარის კანონ-პროექტს, ვიხილავთ და ვკამათობთ სულ სხვა ჯარის პროექტზე—სახალხო გვარდიის (ყოფილ წითელ გვარდიის) შესახებ, რომელიც შემოტანილია ს.-დ. ფრაქციის მიერ და თუ არ ვცდებით მთავრობის დასტურით და თანხმობით.

ამნაირად, ს.-დ. ფრაქცია და მთავრობა აიძულებს ჩვენს პარლამენტს ორი წყება ჯარის დააკანონოს: გვარდია დღეს და რეგულიალურის ალბად, მომავალში. თუ ასეთია მართლაც, სამხედრო გეგმა მთავრობის ფრაქციისა, ნებას მივცემთ ჩვენს თავს სანამ შევეხებოდეთ თითონ სახალხო გვარდიის კანონ-პროექტის ნაკლს რამდენიმე მნიშვნელოვან საბუთით ვარკვევთ ასეთი ...ს შეხედულება ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალების ორგანიზაზე. გავიხსენოთ მოკლეთ ახლო წარსული ისტორია ჩვენი ცდისა სამხედრო სფეროში და დღევანდელი ჩვენი მდგომარეობაც. რუსეთის ჯარის დაშლის და წასვლის შემდეგ ჩვენ ქვეყანას ეწვივნენ დამთვრალნი მიტინგებით და რევოლიუციებით, თვითგასამართლებით და პოგრომებით შეიარაღებული ქართველი ჯარისკაცები. ამ გაბოლშევიკებულ ბრბოებისაგან ჩვენი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეები სცდილობდნენ შეექმნათ ქართული კორპუსი. რასაკვირველია, არაფერი გამოვიდა. სოციალისტურ რეცეპტებით და მეთოდებით გახრწნილ ბრბოების მოგვარება შეუძლებელი გახდა. შეიარაღებული ჯარისკაცები დაიშალნენ, მიიღნენ ქალაქებს და სოფლებს, ანარქიამაც წამოყო თავი, ამან გამოიწვია სხვა და სხვა მოხალისეთა რაზმების საჩქაროდ შეიარაღება. ამავე დროს სწრაფად ეწყობა წითელი გვარდიაც, რომელმაც გადაარჩინა რეგულიარულ ნაწილებთან ერთად მხურვალედ მოჰკიდა ხელი ანარქიის ჩასაქრობად. მომავალი ისტორია აღნიშნავს ამ უკანასკნელთა ღვაწლს ქვეყნის წესიერების ცოტად თუ ბევრად აღდგენაში. გაიხსენებს მადლობით მათ ბელადებსაც. მაგრამ ამასთანავე უნდა აღნიშნული იყოს, რომ მათ გვერდში იდგნენ და ზურგს უმაგრებდნენ შეგნებული ნაწილები რეგულიარულ ჯარისაც (არტილერია, ტყვიისმფრქვეველთა და სხ. რაზმები), ცხინვალი, ხონი, ზუგდიდი, აჯიქაბული ამის დამადასტურებელი ფაქტებია.

ოსმალების შემოსევამ ხომ უფრო გაამართლა მოლოდინება რეგულიარულ ჯარის გაძლიერებისა და შევსებისა. თუმცა ეს პროცესი მრავალ დაბრკოლებათა გამო ნელის ტემპით სწარმოებდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს შესდგა ისეთი საიმედო კადრი ქართულ რეგულიარულ ჯარისა, რომ დღეს იგი სავსებით ეწევა წითელ გვარდიის მაგიერობას. მანგლისი, ბორჩალოს მაზრა, წილკანი, სოხუმი და სხ., სადაც დღეს წესიერებას იცავენ ჩვენი რეგულიარული ნაწილები, კვლავ ამას ამტკიცებენ. რამდენად წითელი გვარდიამ ანარქიასთან ბრძოლაში გამოიჩინა სიმტკიცე და სიძლიერე, იმდენად იგი სუსტი აღმოჩნდა გარეშე მტერთან ბრძოლაში. გარდა ნატანების ფრონტზე გამარჯვებისა, რომელიც უფრო მიეწერება საუცხოოდ შეიარაღებულ ჯავშნიან მატარებელს, დანარჩენ ფრონტებზე გვარდიას მარცხი მოსდიოდა. რომ ეს მართალია მივმართოთ რამოდენიმე საბუთებს:

თბილისი. 2 მისამართით.

ლაშქრის უფროსს.

ასლი სამხ. მინისტრს.

მომყავს სრულიად ღვთის რაზმის მემარცხენე ფრთის უფროსის ცნობა, რომელიც ახასიათებს რაზმის სულიერ განწყობილებას: „სიტყვა სიტყვით გაცნობებთ პოდპოლკოვნიკ რამაზაშვილის ცნობას, რომლითაც თქვენ გაითვალისწინებთ, თუ რა სულიერ განწყობილებაშია როგორც მარჯვენა ფრთის ჯარი და ცენტრი, ისე მათი უფროსი პოდპოლკოვნიკი რამაზიშვილი. გთხოვთ, სასწრაფოდ გამოგზავნოთ ყვირილელები და აგრეთვე 2 პოლკის ნაწილი, გთხოვთ აგრეთვე გაიწვიოთ პოდპოლკოვნიკი № და მის მაგივრად გამოგზავნოთ პოდპოლკოვნიკი ქუჩუხიძე. შეუწყნარებელია ფრონტზე მიტინგების გამართვა და რეზოლუციების გამოტანა. ბევრი რამე მიეწერება მარჯვენა ფრთის და ცენტრის მაღლობელ უფროსების არა წესიერ განკარგულების მოხდენას და რაზმის თავის ნებაზე მიშვებას რამაც მტრებთან დამმობილებამდისაც მიაღწია.

ახლა მოისმინეთ რა ცნობას გვაწვდის პოდპოლკოვნიკი №: გორის რაზმები კატეგორიულად მოითხოვენ გამოცვლას. იმუქრებიან თავიანთ ნებაზე სახლში წასვლით. დაბეჯითებით გთხოვთ მათ გამოსაცვლელად გამოგზავნოთ 300 კაცი. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია ანარქია. ჩემს თვალწინ ყვირილის და ბელოგორის რაზმები თავის ნებაზე წავიდნენ სახლში, ბორჯომის რაზმები გაიქცნენ, დარჩა მხოლოდ ოფიცრები და 8 ჯარისკაცი. გთხოვთ საქმეს დაღუპვამდის ნუ მიიყვანთ. ხალხი მოითხოვს საყოველთაო მობილიზაციის და პოლკების შედგენას, მათ ერთ მთლიან ლაშქრად გადაქცევას, სამხედრო ბეგარის და დისციპლინის შემოღებას წესდების მიხედვით. ცალკე გვარდიელების და მოხალისეთა რაზმები უნდა დაიშალოს, როგორც სამხედრო მოქმედებისათვის გამოუსადეგარი ნაწილები. ეს ლოზუნგები საჭიროა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ერთობისა და მთლიანობისათვის. გასაკვირველი აქ არაფერია. დღევანდელ საპოზიციო ომებს მილიციონერი წე-

სით აღჭურვილი ჯარი ორ კვირაზე მეტს ვერ უძლებს. მით უფრო რეგულიარულ ჯარების იერიშებს. ასეთი ომის წარმოება შეუძლიან მარტო გაწვრთნილ, დისციპლინით შეზრდილ რეგულიარულ ჯარს. ამიტომ ბუნებრივია, რომ სოფლის გვარდიები ასე ადვილად სტოვებდნენ პოზიციებს (ხან წვიმებს ვერ უძლებდნენ, ხან უშველობას ან ცუდ ჩაცმულობას), და მიდიოდნენ შინ. პოზიციებზე კი რჩებოდა მხოლოდ რეგულიარულ ჯარის ნაწილი. ერთის სიტყვით თქვენთვის ირკვევა, რომ გვარდია სრულიად შეუფერებელი გამოდგა სერიოზულ ბრძოლის ველზე.

მაშ თუ გვარდია არ გამოდგება გარეშე მტერთან ბრძოლაში, რისთვის და არის იგი საჭირო? შინაურ მტრისათვის? მაგრამ დღევანდელი პატარა რეგულიარული ჯარიც კარგათ უვლის ამ მტერს, როგორც ზევით მოვახსენეთ. ცხადია თუ ჩვენი მთავრობა ენერგიულად შეუწყობს ხელს რეგულიარულ ჯარს, ჩვენ სულ მოკლე ხანში გვეყოლება საკმაო და მტკიცე საიმედო სამხედრო ძალა. რისთვის და არის საჭირო დაკანონება ყოვლად უიმედო სამხედრო ორგანიზაციისა, როგორც სახალხო გვარდიაა? რატომ უნდა გავყოთ ჩვენი შრომა, ენერგია, ფინანსები და სხვა ორ ჯარის მოწყობაზედ?

ამბობენ, სახალხო გვარდიას დაევალება რევოლიუციის მონაპოვარის დაცვაო. მაშინ ჩვენი რეგულიარული ჯარი, რომელიც იმავე გლეხებისაგან და მუშებისაგან შესდგება კონტრ-რევოლიუციონური იქნებიან? იქნება ასეთ დაკანონებას ის აზრი ჰქონდეს, რომ არსებული გვარდია ბანდათ არ ჩასთვალოს სხვებმა? მაგრამ მაშინ უნდა დავიწყოთ რეგულიარულ ჯარის დაკანონებიდან, და არა გვარდიიდან. რეგულიარული ჯარიც ხომ ჩვენ მიერ ჯერ არ დაკანონებულა?

რას გამოიწვევს სახალხო გვარდიის დაწესება: უნდობლობის გამოცხადება რეგულიარულ ჯარისადმი რის გამო გაუამწვავებთ ამ ორ წყება ჯართა შორის საშინელ ანტაგონიზმს. სახალხო გვარდია როგორც შემდგარი შერჩეულ ქალაქების მუშებისაგან (და ნაწილად გლეხებისაგანაც) ძალაუნებურად პრივილეგიურ მდგომარეობაში მოხვდებიან. ეს უფრო გაამწვავებს შუღლს და მტრობას მათ შორის. დღესაც წითელი გვარდია გამოკვების, ტანისაცმელის, სადგომის, ბინის მხრივ თუ ტრანსპორტის მხრივ ბევრად უკეთეს პირობებში იმყოფება, ვიდრე რეგულიარული ნაწილები. თუ გვარდიელს არაფერი არ აკლია, ჯარისკაცს ხომ ყველაფერი. ესეც ბუნებრივია.

რეგულიარულ ჯარს საზოგადოთ სოციალიზმი არ სწყალობს. რა გასაკვირველია, რომ სოციალისტური მთავრობის ყურადღებაც სოციალისტურ გვარდიისაკენ მიილტვოდეს? მაგრამ რომელ სახელმწიფოებრივ ინტერესით შეიძლება მთავრობის ასეთ პოზიციის გამართლება. მაშინ ხომ რეგულიარულ ჯარის იდეაც და საქმიანობაც უნდა დაიმარხოს. და ეს უსათუოდ მოხდება. იმის იმედი რომ ასეთ გვარდიასთან ერთად მოეწყობა რეგულიარული ჯარი ქვიშლი ოცნებაა. უნდა მოეწყოს ან ერთი ან მეორე. ჩვენ უნდა ვირჩიოთ რეგულიარული ჯარი. მით უფრო, რომ ჩვენი სავარეო პირობები ამას ულმობელად გვიკარნახებენ. არც ჩვენი ბიუჯეტი გაუძლებს ასეთ ორმაგ სამხედრო ხარჯებს და ჩვენი შინაური და გარეშე საქმეები არამც თუ არ მოწესრიგდება არამედ უფრო აიწეწ-დაიწეწება.

მთავრობის დეკლარაციის სამხედრო ნაწილში ნაგულისხმევია მარტო რეგულიარული ჯარი, ვსთქვათ, შეიარაღებულ სისტემაზე აგებული. მაგრამ რა შუაშია აქ სახალხო გვარდიის დაწესება? მეთვრამეტე საუკუნის პარიზის ნაციონალ გვარდიის ან და 70 წლის პარიზის კომუნარების მაგალითების მოყვანა როგორც ეს იყო ერთი სოციალისტობრივის შეუფერებელია. ჰინდენბურგის ხანაში, მათი გახსენება გულუბრყვილობათ უნდა ჩაითვალოს. ასეთია ჩვენი თვალსაზრისი, რომელსაც საქართველოს პირველი მთავრობა დაპირებულ რეგულიარულ ჯარის მაგიერ გვარდიის სისტემის დამტკიცებას ითხოვს.

გადავიდეთ თვით კანონპროექტზე... ეს პროექტი ძველებურ დეკრეტის პროექტს უფრო ჰგავს, ვიდრე სახელმწიფო კანონს, ვინაიდან მას აკლია ფინანსიური, ბიუჯეტური განმარტება და დასაბუთება (ურიცხვო გვარდია თუ შეიძლება, ურიცხვო ბიუჯეტი ხომ არა). კანონის პირველი პარაგრაფი აცხადებს, რომ გვარდიის მიზანი ისეთივეა, როგორც სახელმწიფოს მთელი შეიარაღებული ძალისა—დემოკრატიული რესპუბლიკის დაცვაა. თუ მიზანი ერთია, რა საჭიროა ყველა დაწინაურებულ ქვეყნების გაკვეთილების დავიწყება, რომელიც უარჰყოფს სხვანაირად სახელმწიფოს დაცვას, თუ არა საყოველთაო სამხედრო ბეგარით შედგენილ რეგულიარულ ჯარით, და რომელიც წინააღმდეგია ყოველგვარ არარეგულიარულ ჯარებისა. არარეგულიარული ჯარი ჟანდარმერიის საქმესაც კი ვერ ასრულებს კარგათ.

პროექტის მეორე პარაგრაფი გვარდიაში მიღების პირობად დემოკრატიულ რესპუბლიკის ერთგულებას ითვლის, ვითომც ეს პირობა რაიმე განსაკუთრებული რამ უნდა იყოს გვარდიისათვის... საინტერესოა, როგორ განიზომება ეს ერთგულება, სოციალისტური პარტიების მოწმობით?—იქნებ არც ეს გამოდგეს. აი, მაგალითად, მუშათა საბჭოს უკვე აურჩევია გვარდიის მთავარი შტაბი. ამ შტაბში მხოლოდ სოციალდემოკრატები არიან. სოციალისტ - რევოლიუციონერებიდან მგონი მარტო ბ-ნ ილ. ქარცივაძეს ხდომია ეს ბედი. მაგრამ ამ სიაში არის ცნობილი ვლადიმერ ჟოიტინსკი, რომელიც უკანასკნელ დრომდის საჯაროდ გაჰკიოდა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.—მაშ ჟოიტინსკის ერთგულება საქართველოს რესპუბლიკისადმი რითი უნდა დამტკიცდეს—რუსეთის სოციალდემოკრატიულ გაზეთ „ბორბას" წერილებით?

პროექტის მესამე და მეხუთე პარაგრაფები გულისხმობს, რომ გვარდიელებს მშვიდობიანი შრომის დროს სახლში ექნებათ მთელი იარაღი და სამხედრო მოწყობილება. ეს არც ერთ დემოკრატიულ რესპუბლიკაში არ არის მიღებული. თვით რეგულიარულ ჯარებში თოფებს ჯაჭვებით აბამენ, რომ არავინ ნებადაურთველად არ ისარგებლოს... და რომ საქართველოში სოფლად და ქალაქად სახლში იარაღის საყოველთაო დარიგება დავაკანონოთ, რამდენი პატრონის ქარხანა გვეყოფა მაშინ ჩვენ... ეხლა ხომ სოფლად ქორწილის დროს პულემიოტებს ისვრიან და მიწის გამიჯვნის დროს „ოკოპების" ომს აწარმოებენ. ასეთი გზით საწარმოო ძალების განვითარება გაგვიძნელდება.

პარაგრაფები მე-6, 7, 8 და 9 აკანონებენ, რომ გვარდიის სამხედრო დისციპლინა, სათანადო დახმარება და შტაბის დამტკიცება და საჭირო ხარჯების გაწევა საერთო სახელმწიფო წესით ჰხდება; ყველაფერი ეს კიდევ ერთ ხელ გვაკითხებს, მაშ რა საჭიროა რეგულიარულ ჯარის გარეშე ამ გვარდიის დაწესება?

მაგრამ პარაგრაფი მე 10 და 11 პირდაპირ გვეუბნება, რომ ჩვენ გვაქვს საქმე ისეთ სამხედრო ძალასთან, რომელიც შეიძლება არ დაემორჩილოს საქართველოს სახელმწიფო მთავრობას და იმ მინისტრს, რომელიც ყოველ სახელმწიფოში არის უფროსი ყველა სამხედრო ძალისა.

პარაგრაფი 10 ამბობს, რომ გვარდიის სხვა და სხვა ნაწილების შედგენა სამხედრო სამინისტროსთან შეთანხმებით ხდებაო. ეროვნულ საბჭოს წევრნო! დაუფიქრდით ამ ცნობილ სიტყვას „შეთანხმებით". ეს ხომ ის სიტყვაა, რომლითაც გვინდოდა ჩვენ შეგვეცვალა ჩვეულებრივი სახელმწიფო წესი—უფროსის მორჩილებისა; წარმოიდგინეთ გვარდიის შტაბი ვერ შეუთანხმდა სამხედრო სამინისტროს. მერმე ვინ უნდა დაუჯეროს მაშინ, ვინ არის უფროსი და ვინ არის უმცროსი—თუ ორივე თანასწორია? მაშინ გაარიგოს პარლამენტმა, კონფერენციამ, სიეზდმა, საოლქო კომიტეტმა თუ ვინ.—ეს არის ძლიერი ერთი მთავრობა?

პარაგრაფი მე-11 ხომ პირდაპირ ამბობს, რომ გვარდიის გამოწვევა შეუძლია ან მთავრობის თავმჯდომარეს, ან და ეროვნული საბ. თავმჯდომარეს, განსაკუთრებულ შემთხვევაში კი პირდაპირ გვარდიის მთავარსა და რაიონულ შტაბებს.

თუ მთავრობა ნამდვილი მთავრობა არის, როგორ შეიძლება, რომ მთავრობის თავმჯდომარის შემდეგ გვარდიის უფლება მთავარ სარდალს და სამხედრო მინისტრს კი არა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს ეკისრება? როდის დავაკანონეთ, რომ საბჭოს თავმჯდომარე თავის გარდა მთავარ-სარდლობასაც ეწეოდეს?

და მთავრობის დაუკითხავად თვით გვარდიის მთავარი და რაიონულ შტაბების მიერ მობილიზაციის გამოსვლა რას მოასწავებს თუ არა იმას, რომ საქართველოს რესპუბლიკა პრეტორიანთა ბატონობას ან და სამოქალაქო ომის საფრთხის წინ უნდა იდგეს ყოველთვის?

ამიტომ ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია წინააღმდეგია ამ კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვისა და მოითხოვს მთავრობისგან, რათა მან დეკლარაციის დაპირებისამებრ წარმოგვიდგინოს ერთი ნამდვილი, სახელმწიფო რეგულიარული ჯარის მოწყობის კანონ-პროექტი.

პატარა ფელეტონი

ვეხიბ-ფაშას სიმღერა*)

(„ალი-ფაშამ გვიღალატა"-ს ხმაზედ)

სალამ-ელიქ! მე გახლავართ
ფერიხ-ვეხიბ მეჰმედ-ფაშა!
თავისუფალ საქართველოს
გაუმარჯოს!.. ვაშა! ვაშა!

—

ძლიერ მეგონა, ალლაჰს ვფიცავ,
ეს ზეიმი, ეს თამაშა,—
ამ მშვენიერს მინდორ-ველზედ
მეც ლეკური მეთამაშა.

—

ოსმალთ მთვარე მილეული
ამობრწყინდა, იკაშკაშა,
გაიხარეთ, თქვენთანა ვარ
ფერიხ-ვეხიბ მეჰმედ-ფაშა!

—

სულ ყაბულ-ფლავს მოგახარშავთ,
ნუღარ გინდათ ურუსი „ვაშა",
ნუ მოიწყენთ, გიპატრონებთ
ფერიხ-ვეხიბ მეჰმედ-ფაშა!

—

ბათუმ-ყარსი, არტაანი
ჩვენ მაჰმადმა გვაფეშქაშა,
მიდი და ნუ გაახარებს
ფერიხ-ვეხიბ მეჰმედ-ფაშა!..

ა. აბნაზაროვი.

*) ეს ლექსი ბ-ნმა ვ. შალიკაშვილმა წაიკითხა ხელოსან-მხატვართა საღამოზედ ქართულ კლუბში.

ქრონიკა

თბილისი.

◆ თიანეთიდამ გვატყობინებენ—რომ იქ სრული სიწყნარეა ამ ჟამათ. საზოგადოება მოუთმენლად ელის ეროვნულ საბჭოს დელეგაციას.

◆ კათალიკოსის ნეშტის მოსვენება. კვირას 30 ივნისს, შუადღის 3 საათზე მარტყოფის მონასტრიდან თბილისში მოასვენეს საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის კირიონ მე-II-ის ნეშტი და დასვენებულ იქმნა კათალიკოსის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება სიონის ტაძარში.

◆ სამხედრო კავშირი. ქალ-ვაჟთა მომღერალთა გუნდის გამგე ილ. აბაშიძე აუწყებს ჩვენს საზოგადოებას, რომ თანამედ გამოცხადებულ ჰიმნის კონკურსისა მან მიიღო უკვე ცხრა ჰიმნი. კონკურსის დაწვრილებითი პირობები და კონცერტის დღე ახლო მომავალში გამოცხადდება.

◆ კვირას 30 ივნისს სახალხო სახლში დუშეთის მაზრის მცხოვრებთა მოწვეულ კრებაზე არჩეულ იქმნა ბიურო, რომელსაც დაევალა ხელი შეუწყოს მთავრობას დუშეთის ანარქიის ლიკვიდაციაში და საერთოდ შესაძლო ზომები მიიღოს მშვიდობიანი გზით ანარქიის ჩასაქრობათ, რისთვისაც უნდა გაიგზავნოს პროპაგანდისტები, მოწოდებების ხალხში დასარიგებლად და სხვ.

◆ 29 ივნისს სასახლეში ძლიერი რაზმის თანხლებით აღმასრულებელ კომიტეტის სადგომში მოიყვანეს პოდპორუჩიკი ხაჩატუროვი—დუშეთის მაზრის მოძრაობის ერთი მთავარი ხელმძღვანელთაგანი. ხაჩატუროვი შეიპყრეს მცხეთის მახლობლად.

◆ ჟურნალისტთა კრება. 30 ივნისს შესდგა თბილისის ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელთა კრება. კრებამ მხედველობაში მიიღო რომ ზოგიერთი გაზეთები ათავსებენ ისეთ ცნობებს, რომელთაც შეუძლიანთ მავნებლობა მოუტანონ საქართველოს რესპუბლიკას და რომ ეს შემდეგში არ მოხდეს არჩეულ იქმნა ბეჭდვითი სიტყვის ბიურო, რომელიც მთავრობასთან მიიღებს ყოველგვარ ცნობებს და შემდეგ მიაწვდის პრესის წარმომადგენლებს. ბიუროში არჩეულ არიან: პეტრე სურგულაძე, ა. სიგუა, ალ. ასათიანი, დიმ. დუმბაძე და მაქსიმე ბერძნიშვილი. ბიუროს დაევალა 3 დღეში შეიმუშაოს წესდება. 1 ივლისს მოხდა პრესის ბიუროს სხდომა, რომელმაც ოფიციალურად აცნობა მთავრობას და ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეებს ბიუროს დაარსება.

◆ პური. უკრაინიდან ფოთში ჩამოიტანეს 450,000 ფუთი ფქვილი.

◆ ქაღალდი. ამ დღეებში თბილისში მოელიან დიდძალ ქაღალდს.

◆ „ბოჟე ცარია ხრანიხთვის". 30 ივნისს ღამე მილიუტინის ქუჩაზე ქუჩაში „ბოჟე ცარია ხრანის" მღერისთვის დააპატიმრეს აფიცრები ბატინსკი და პეტროვი მათ აღმოაჩნდათ პროკლამაციები, რომლებიც შეიცავდნენ მოწოდებას საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ.

პარტიული ცხოვრება

◆ მთავარი კომიტ. კრება პროვინციის წარმომადგენელთა მონაწილეობით. კვირას, 7 ივლისს, დილის 11 საათზე მთავარი კომიტეტის ბინაზე შესდგება მთავარი კომიტ. კრება პარტიული კომიტეტების წარმომადგენლების მონაწილეობით. ამ კრებისათვის ყველა ქალაქების და სამაზრო კომიტეტები გზავნიან თითო წარმომადგენელს. კრების საგანს შეადგენს საორგანიზაციო და სატაქტიკო საკითხები.

◆ მთავარი კომიტეტის კრება. დღეს საღამოს 7 საათზე შესდგება მთავარი კომიტეტის კრება. განსახილველია საორგანიზაციო საკითხები. ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

◆ ხუთშაბათს, მკათათვის 4-ს, საღამოს სწორედ 6 ს. დანიშნულია ერ.-დემოკრატ სტუდენტთა და მოწაფეთა საგანგებო კრება ფრიად საჭირო საქმეებისათვის.

საქართველოს ეროვნული საბჭო

საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრმა ალ. ახმეტელმა (რ. დ.) ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს შემდეგი წერილობითი შეკითხვით მიჰმართა: „ჩვენი საზოგადოება დარწმუნებულია, რომ დუშეთის მაზრის ანარქია გამოწვეულია ადგილობრივ დუშეთის ადმინისტრაციის უმოქმედობით და ბოლშევიკურად განწყობილ ელემენტების პროპაგანდით. იცის ეს მთავრობამ თუ არა, და თუ იცის რა ზომებს ჰფიქრობს მიჰმართოს მის დამნაშავეთა წინააღმდეგ. გარდა ამისა, ბოლშევიკურ მოძრაობის ხელმძღვანელნი მოუწოდებენ ხალხს იარაღით ხელში გამოვიდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. იცის ეს ამბავი მთავრობამ თუ არა და თუ იცის, რა ღონისძიებას იღებს აგიტატორთა წინააღმდეგ".

—

ქუთაისის გუბერნიის კომისარი მთავრობას და ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს აცნობებს, რომ ბრბო შემოერტყა საჩხერეს და მიიწევს შორაპანსა და ჭიათურაზე. ადგილობრივ მილიციონერთა და ბრბოს შორის შეტაკება მოხდა. ყვირილიდან მათ მისაშველებლად გაიგზავნა წითელ გვარდიელთა რაზმი. საჭიროა დახმარება.

სოხუმის ამბები

როგორც წინააღმდეგობას და ჩვენი პოლიტიკისათვის მავნე განწყობილებას ეწევიან ზოგიერთი ჩვენი მთავრობის სახელით მოქმედი პირნი შეიძლება დავინახოთ შემდეგი მაგალითისაგან: როცა პირველად „მოკავშირეების" ჩვენი ჯარისაგან გარეკვის შემდეგ ცნობები იყო გავრცელებული, რომ სათათრეთიდგან დესანტი უნდა გადმოესხათ ვ. ჯუღელის მოქმედებით შეურაცხყოფილ აზნაურებს—გერმანელებთან დადებულ ხელშეკრულების თანახმად, ფოთიდან ასამდე გერმანელები იქმნა გამოგზავნილი სოხუმში. აქ ჩვენი საზღვრების დასაცავად გერმანული ბაირაღი იქმნა ნავთსაყუდელში გამოფენილი. ამ გარემოებამ შეაშფოთა და შეარყია ადგილობრივ რუსთა მცხოვრებნი და მათ გავლენის ქვეშ მყოფნი ყველა მარცხენა მიმართულების მიმდევარნი. რუსებმა ოფიციალური განცხადება შეიტანეს საბჭოში და დიდის ზიზღით უარი განაცხადეს იმ ქალაქის თვითმმართველობაში მონაწილეობაზე, სადაც გერმანული ბაირაღია გამოკიდებული; ეს ამბავი დიდის აღტაცებით ადგილობრივ მუშათა საბჭოების გაზეთში იყო გამოქვეყნებული. ამითაც არ დაკმაყოფილდნენ სოხუმელი ჩვენი „მოძმეები". ადგილობრივ ერთად-ერთი გასართობ საზოგადო საკრებულოში შემოდიოდა გერმანელი მისიის მეთაური ფონ-პალენი. ის დარბაისლად იჯდა თავის ნაცნობებით ერთ კუთხეში: ადგილობრივმა რუსებმა, ყოფილი სოხუმელი კომისარის, მიმართულებით ს.-დემოკრატის პარტია ზახაროვის და კადეტთა ლიდერის ზორის ზახაროვის მეთაურობით „ობსტრუქცია" გაუმართეს გერმანელ ელჩის წარმომადგენელს სოხუმში: ორკესტრს რამდენიმეჯერ ფრანგული ჰიმნი „მარსელიოზა" დააკვრევინეს და სიცილ-ხარხარით გერმანელს უბრძანეს ფეხზე ამდგარიყო. იმ დღეს გერმანელმა ეს მოითმინა, გაისტუმრა ნახარჯი და საკრებულოდგან გავიდა, მაგრამ მესამე დღეს, როცა მის საკრებულოში შემოსვლის შემდეგ ასეთივე ლაზღანდარობა განიმეორეს იმავე პირებმა, გერმანელმა იქვე მჯდომ შტაბის უფროს და კომენდანტს მიმართა. უნდა ვიცოდეთ, რომ ვ. ჯუღელის წითელმა გვარდიამ სოხუმის მართველებად ლენინის საუფლოებლოდგან გამოწვეული პირები დანიშნა. კომენდანტად ტუმაკერი და შტაბის უფროსად ნოვიკოვი. როცა გერმანელმა განუცხადა ამ „ჩვენი" მთავრობის წარმომადგენელთ, რომ რამდენიმე პირი საკრებულოში მის საწინააღმდეგოთ ბოიკოტს აწარმოებენ, ნოვიკოვმა განუცხადა მარსელიოზა ჩვენი რევოლიუციონური ჰიმნია და მისი აკრძალვა ჩვენ არ შეგვიძლიაო. შეურაცხყოფილმა გერმანელმა მიატოვა საკრებულო და ეს ამბავი თავის ელჩს შეატყობინა; სამი დღის შემდეგ გერმანელებმა მოხსნეს ბაირაღი და თავის ჯარიც წაიყვანეს. რუსთა და ზოგიერთ „რევოლიუციონერთა" სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა ამ „გამარჯვების" გამო. არ გასულა ერთი კვირა ამის შემდეგ და თათრებმა გუდაუთისკენ, სადაც ბოლშევიკები ბატონობდენ დესანტი გადმოსხეს ექვსასი კაცი და ამ დესანტთან და რუს-აფხაზთა ბრბოსთან ჰქონდა ბრძოლა მაზნიაშვილის ჯარს. კოდორის აბაზები დიდი მომხრეები იყვნენ ჩვენი, მაგრამ ვ. ჯუღელის უტაქტო მოქმედება—მიპყრობის შემდეგ—ერთმა ნაწილმა კოდორელების დელეგაცია გაგზავნა ბათუმში თათრების დახმარების სათხოვნელად და ეს მისსია შეასრულა ალექსანდრე შერვაშიძემ. ამ გარემოებაზედ მაისის 16-დან ვრცელი მოხსენება ჰქონდა ნიკო თავდგირიძეს წარდგენილი ოფიციალურად მთავრობასთან და ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეზედ დღემდის ჯეროვანი ყურადღება არავის არ მიუქცევია.

ან—არი.

ბათომი.

ბათუმში თანდათან ცვლილებაა. მიდიან ოფიცრები, მიდიან ჯარისკაცები და ძველი სიცოცხლის ნიშანი თანდათან ქრება. მიხაილოვის ქუჩა დაგუბებულია მოხოვნელებით ახალ დანიშ-

ნულ კონსულის წინაშე, რომელთაც უნდა მიიღონ თავისუფალი გასვლა ქალაქიდან. ქართველების კონსულათ დანიშნულია ბატონი აბნიძე ბატონი მინისტრის რამიშვილის განკარგულებით. თუმცა ბატონი აბნიძე თავისუფლად ლაპარაკობს რამოდენიმე ენაზე და გამოცდილია საქმეების წარმოებაში, მაგრამ ბათუმის ქართველების საზოგადოება დიდათ შეშფოთებულია ამგვარი ადამიანის დანიშვნით. ვნახოთ, რა საბუთებს წარმოადგენენ წევრები ამ საზოგადოებისა, რომ უპოვონ რაიმე დაშავება მის მოქმედებაში, როდესაც ის აწარმოებდა ბათუმის ოლქის სასურსათო საქმეებს.

ვიდაცები ავრცელებენ ხმას, რომ ვითომც აჭარელ თათრებს უნდათ მიმართონ თავის მთავრობას თხოვნით, რომ გარდააქციონ აჭარელი ახალი საობარო მეჩეთად. ჩვენ ამ ხმას არ ვაქცევთ ყურადღებას, რადგანაც აქ შრომანდება ეხლა ენვერ-ფაშა და არასოდეს არ მისცემს ნებას თავის თავს, რომ დაარღვიოს თავისი აღთქმა შესახებ კეთილ-განწყობილებისა სხვადასხვა ერებთან, გარდა ამისა, რათ უნდათ კიდევ ერთი მეჩეთი, როდესაც ბათომში ორი დიდი მეჩეთი სდგას და შეუძლიანთ მიიღონ თავისუფლად ყველა მაჰმადიანის მლოცველები. საზოგადოთ თათრები არ ეკიდებიან მტრულად ჩვენ ქრისტიანების ტაძრებს და რომელიმე ადგილებში კიდევაც სცდილობენ დაიცვან ძველი ძეგლები ქრისტიანობისა. მაგალითებრ, ადგილობრივი მამასახლისი (მახმადიანი) ძლიერ გულს მოდგინებით უვლის შესანიშნავ ხახულის მონასტრის შენობას.

ამ ხახულის მონასტრის ცოცხლი აღწერილობა ამ დღეებში იბეჭდება ერთ ბათომის სტამბაში და იმედი გვაქვს, რომ რედაქცია პატივცემული გაზეთისა ყურადღებით გადაათვალიერებს ამ აღწერილობას და დაინახავს რა გულგრძნობით ეკიდებიან მაჰმადიანები ჩვენი ქრისტიანობის ძველ ძეგლებსა.

ვინა თქვა, რომ აჭარის დიდი მემამულე ჯამალ-ბეგ ხიმშიაშვილი ნამდვილი დიპლომატი არ არისო. ამ დიდათ გამოცდილმა ადამიანმა კარგათ დაიმარხა თავის გულში ის სიტყვები, რომელნიც წარმოსთქვა ერთმა ჩვენმა მინისტრმა:

— აბა, ხალხო! ეუბნება მინისტრი მრავალ რიცხოვან აჭარლებს. ამ დღიდგან ის პობა თქვენ ქვეყანაში ბეგების უფლება. თქვენ ჯამალ-ბეგს ეხლა არ უნდა მიმართოთ როგორც ბეგსა, არამედ, როგორც უბრალო ჯამალსა.

ჯამალ-ბეგმა გაუმართა მშვენიერი სადილი ამ მინისტრსა და მის მხლებლებსა და არა რა ერთის ნიშნით არ გამოიჩინია უკმაყოფილოება ამ წარმოთქმულ სიტყვებზედ. მაგრამ თავში კი გაუარა მას შემდეგმა აზრმა:

— გაჩვენებ მალე, ჩემო მინისტრო თქვენ და თქვენგან გამოგზავნილ აგენტებსა, რომ მე ისევ ჯამალბეგად დავრჩები და თქვენ კი გაგაბრძანებთ ჩვენის ქვეყნიდგან, სადაც სიმშვიდის მაგივრად მოინდომეთ ჩვენი აჯანყება, ჩვენი ძველი ჩვეულების დათრგუნვა, ბეგების და ხოჯების განდევნა და ჩვენი ქალების გამოყვანა პირდაუფარებლადო.

უკანასკნელ დრომდის ჯამალბეგი არ მოსულა ბათუმში. ეხლა, როგორც ჩამოვიდა აქ, თათრის მართებლობამ უბოძა მას დენერალ-ს ჩინი და მედალი თათრის ორდენი მეორე ხარისხისა. ჯამალბეგი ჩაცმულია რუსის მუნდირში და გულზედ აქარებს მოძღვნილ რუსებიდგან ორდენებსა.

დიდი ბრძოლა აქვს საზოგადოებას ქალაქის თვითმართველობასთან. სასაზოგადოება ეუბნება: წაბრძანდით ბატონებო! კმარა რაც ცუდი საქმე ჩაიდინეთ, რაც უკონტროლოთ ითარეშეთ. დაუთმეთ ეხლა თქვენი ადგილები სხვებსა. ხომ იცით, რომ თქვენ იყავით აღმორჩეულნი ჯარის კაცებიდგან და მოსამსახურე ქალებიდგან. მოგვეცით ნება დავათვალიეროთ თქვენი წარსული ნამოღვაწარი და შევაფასოთ თქვენი დვაწლი.

მართალიც დიდათ საჭიროა, რომ დაათვალიერდეს მოქმედება ქალაქის თვითმართველობისა განსაკუთრებით იმ პირებისა, რომელნიც აწარმოებდნენ სურსათის საქმეებს.

ეხლა ბათუმს სანუგეშოდ ის მიაჩნია, რომ თათრის მთავრობამ გარეგნულად მისპა აქ ყოველივე მოროტმოქმედება და მცხოვრებლებს შეუძლიანთ თავისუფლად გავიდ-გამოვიდნენ და სახლშიდაც მოსვენებული იყვნენ.

ვნახოთ, რა იქნება შემდეგ და ეღირსება თუ არა ბათუმი ნამდვილს მოსვენებულს ცხოვრებას.

ბათუმელი.

პოდპოლკოვნიკ გ. აბქსენტი აბესაძეს

პასუხი მის ღია წერილზე „საქართ." № 117.

პატივცემულო ბ-ნო აბქსენტი! თქვენ სწერთ, რომ ჩემს მოხსენებაში მთავრობისადმი ვითომ მე სიმართლეს აცსცდენოდი და დარიალის ხევში მომხდარი სისხლის ღვრა თქვენთვის და თქვენი რაზმისათვის დამებრალებინოს. ეს ცნობები თქვენთვის გადმოუციათ შემცდარად.

ჩემს მოხსენებაში მე მთავრობას სიმართლეს ვერ დაუმალავდი და მოვახსენე ის, რაც ნამდვილად მოხდა.

რაც შეეხება თქვენ შეკითხვებს 1—6 პუნქტებზე, პასუხად უნდა მოგახსენოთ, რომ მართალია ბოლშევიკებმა ხიდი დაიჭირეს და ჩვენი ს ზღვრებიც გამოიტანეს და ამით ბრძოლა მათ გამოიწვიეს.

რაც შეეხება შეკითხვას ჩემი დელეგატობისა და რწმუნებულობისათვის, მე ვიყავი დელეგაციაში როგორც წარმომადგენელი საქართველოს ეროვნული საბჭოსი, და როცა ვთქვი, რომ თუ ბრძოლა ატყდა მე კავკავში ვერ დავბრუნდები-თქო, უკაცრაოდ თქვენთან, მაგრამ ეს ტრულებით არ ნიშნავდა შიშს ჩემი პირადი ინტერესებისათვის, არამედ შეიძლება იყო საერთაშორისო დამოკიდებულების ადათისა და წესის,—როცა ორ ერთა შორის ომი გაჩაღდება, მაშინ წარმომადგენლობას ადგილი არა აქვს, ურთიერთობა უნდა შესწყდეს და წარმომადგენელიც თავის ქვეყანაში უნდა დაბრუნდეს.

თქვენ წერილს ათავებთ ამ სიტყვებით: „დანარჩენი შემდეგ".

მე უნდა მოგახსენოთ, რომ უხერხულად მიმაჩნია გაზეთის ფურცლები ამ საგნისათვის პოლიტიკურის მოსაზრებით, და ამიტომ უკვე მივმართე სამხედრო მინისტრს ბ-ნ გიორგაძეს და ვთხოვე დაენიშნა გამოძიება. გამოძიება გამოარკვევს სინამდვილეს, და ამ პოლემიკის მაგივრად შეიძლება ამ გამოძიების გამოქვეყნება იმათთვის, ვისაც ეს აინტერესებს.

როსტომ ყაზბეგი.

მორის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საბჭო და გამგეობა

ამით აუწყებს, რომ კვირას 14 ივლის 1918 წ., დილის 11 საათზედ ქალაქის საზაფხულო საკრებულო დარბაზში არის დანიშნული საზოგადოების მორიგი

წლიური კრება

უკეთუ კანონიერი წევრთა რიცხვი არ შეიკრიბა, მეორე კრება მოხდება 28 ივლის, რაოდენი რიცხვიც უნდა დაესწროს. განსახილველი საგნები: 1. საბჭოს და გამგეობის მოხსენება საქმეთა მდგომარეობის შესახებ. 2. განხილვა და დამტკიცება 1918 წ. ანგარიშისა. 3. განხილვა და დამტკიცება 1918 წ. ხარჯთაღრიცხვისა. 4. არჩევნები საბჭოს ორი წევრისა, ნაცვლად ნ. ა. თუმანიშვილისა და ნ. გ. სოლოღაშვილისა, რომელთაც სამსახურის ვადა გაუთავდათ. 5. არჩევანი გამგეობის ერთი წევრისა ნაცვლად გ. თ. კაპანაძისა, რომელთაც ვადა გაუთავდა. 6. არჩევნები სარევიზიო კომისიის სამი წევრისა და მათი კანდიდატებისა 1918 წ. ანგარიშის შესამოწმებლად და სხვა საკითხები, რომელნიც პირდაპირ შეეხებიან წლიურს წეს-რიგს. 3—972—1

ღარიბ მოწაფეთა შემწე თბ. გუბერნიის ყოფილ თავ.-აზნაურთა საზოგადოების წევრთა წლიური

მორიგი კრება

დანიშნულია 2 ივლისს, საღამოს 7 საათზედ, ქართული გიმნაზიის შენობაში. განსახილველია: ა) საზოგადოების წლიური ანგარიში, ბ) მოხსენება გამგე-კომიტეტისა, საზოგადოების ქონებისა და სასწავლებლებისა მთავრობისათვის გადაცემის შესახებ და გ) ზოგიერთი საოჯახო და სასწავლო საქმეები.

მოითხოვეთ სამკურნალო

ბორჯომის წყალი

ერთად ერთი წარმომადგენელნი მიწათ-მოქმედების სამინისტროსი, ბორჯომის წყლის ექსპლოატაციისა, ამით არწყებს ბითუმათ (პარტიობით) მყიდველებს, რომ ფას-დადებით და ნისიად წყალი არავის გაეგზავნება. შეკვეთების დაუყოვნებლივი მიწოდება უზრუნველყოფილია. მისამართი: ბორჯომის კანტორა „ბორჯომექსპორტი". 10—973—1

განცხადება

ბორჯომის მამულის მიმღები კომისია

ამით აცხადებს, რომ ბორჯომის მამულის შუშის ქარხანაში 7 ივნისიდან განახლდა მუშაობა, სადაც ამზადებენ „კონიაკის", „ვერმუდის" და „კვარტის" ბოთლებს, ფეხსაცმელის მაზის და სხვა და სხვა ზომის აფთიაქის შუშებს; ახლო მომავალში დაიწყება მზადება ლამპის შუშებისა და ჭიქებისა. ამჟამად ქარხნის საწყობში გასასყიდათ დამზადებულია შემდეგი ბოთლები:

„შამპანიურის" ბოთლები	1/6	78240 ცალი.
„ბორდო" "	1/20	58664 "
„კვარტა" "	1/10	23408 "
ბოთლები 1/4 ვედროსი		12155 "
ბანკები 12 გირვანქის		713 "
" 15 "		1007 "
" 20 "		448 "

ბორჯომის მამულის სახერხავ ქარხნებში

(ბორჯომში და ხუმბათოვში) გასასყიდათ დამზადებულია შემდეგი სამშენებლო მასალები:

ფიცრები 4 სან., 3 სან. და 2 სან.	10130 ცალი
კოჭები 4 სან., 3 სან., და 2 სან.	1725 "
ხიდის კოჭები 2,5 სან. და 1,5 სან.	160 "
რეიკები 4 სან. და 3 სან.	4000 "
შპალები ვიწრო ლიანდაგის 0,95	12200 "
„ბოლვანკი" კედლების შტუკატურკისათვის 2 ალაბი 12გოჯი	35000 "
„შტოკეტები" 2 ალაბი 2 ნახევარი გოჯი.	7800 "

ყოველნაირი ცნობების მისაღებათ მყიდველებმა უნდა მიჰმართონ ბორჯომის მამულის მიმღებ კომისიას ქ. ბორჯომში.

ბორჯომის მამულის მიმღებ კომისია. (1—1672—4)

ქართველ ვაჭარ-მრეწველთა

კავშირი

გადავიდა ახალ ბინაზე: საქართვ. ეროვნულ საბჭოს შენობაში, ფრეილინის ქ. № 11. ტელეფონი 9—18. კანცელარია ღიაა 10—1 საათამდე. (2—1678—4)

საქართველოს ეროვ. დემოკ. პარტიის მე-III რაიონის ბიურო

ამით აცხადებს, რომ ცნობების მიღება და პარტიაში ახალ წევრების ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 და საღამოს 5—7 საათამდის. ბიურო იმყოფება ტურგენევის ქ., № 4 მესამე მომრიგებელ მოსამართლის დარბაზში.

კვირას, 30 ივნისს, დანიშნულია ახალი საკრებულოს წევრთა და კანდიდატთა წლიური

საზოგადო კრება

განსახილველია საგნები: 1917 წლის ანგარიშის განხილვა. მ. მამასახლისთა საბჭოს მოხსენება თავის მოქმედების შესახებ. მამასახლისთა საბჭოს, სარევიზიო კომისიის, წევრთა და კანდიდატებთა არჩევნები და სხვ. 2—1

თბილისის ქართული საფილარმონიო საზოგადოების გამგეობა

ამით აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ 26 თიბათვეს, ოთხშაბათს, საღამოს 7 საათზედ, დანიშნულია არაჩვეულებრივი საგანგებო საზოგადო კრება, რომელზედაც კრებას მოხსენდება ზეგმა საფილარმონიო საზოგადოების სამუსიკო სკოლის ნაციონალიზაციის შესახებ. კრება დანიშნულია სკოლის ბინაზედ სლეპცოვის ქუჩა. (3—965—4)

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქალაქ თბილისის

ორგანიზაციის გამგისაგან:

ქ. თბილისის კომიტეტის დადგენილებით მოხდა პარტიულ საქმის რეორგანიზაცია ქალაქში. ნაცვლად წინანდელის დანაწილებისა უბნებად, რომელიც დღეიდან მოსპობილად ითვლება, ქ. თბილისი დანაწილებულია ოთხ რაიონად სახელდობრ:

I რაიონი—მტკვრის ზევითა მხარე საბურთალოდან და ვაკიდან დაწყებული მოსკოვის ქუჩამდე და ვერის დაღმართამდე.

II რაიონი—მტკვრის ზევითა მხარის დანარჩენი ნაწილი—მთაწმინდა, სოლოლაკი და სხვ.

III რაიონი—მტკვრის ქვევითა მხარე ვორონცოვის ძეგლიდან მოკიდებული დიდუბემდე და ნაძალადევამდე.

IV რაიონი—მტკვრის ქვევითა მხარე ვორონცოვის ძეგლიდან ორთაჭალამდე.

თბილისის მცხოვრებ პარტიის წევრებს ეძლევათ დაუყოვნებლივ მიიღონ ხათანადო ხარაიონო კომიტეტისაგან ნაწევრო ბილეთები, ურომლისოდაც პარტიულ კრებებზე დასწრება აეკრძალებათ.

თბილისის კომიტეტის ბიურო იმყოფება მთავარ კომიტეტის ბინაზე, (სასახლის ქუჩა, № 5, ტელეფ. 15—73).

ბიურო ღიაა ყოველ დღე, 10—ღ 2 საათამდე საღამოს 6—8 საათამდე

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა

ნ. ღ. ტურიაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ. შინაგანი, ბავშვების, სქესის და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7, სიმხოვანის აფთიაქის გვერდზე. 2 თვ.—1658.

ექიმი

მ. ი. ხანდუკელი

ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალო ექ. ნ. მ. კიშკინის იღებს შინაგან და ნერვებიან ავადმყოფთ (პსიხოტერაპიით) სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკევობით ნაშუადღევს 3 ს.—5 საათამდე. ოლღას ქუჩა № 22.

სამკურნალო კაბინეტი ექიმ

ალექსანდრე დავითის ძის

კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებით და ბავშვთათვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნიკ"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

მარტის 20 გაიხსნა ახალი

სამკურნალო

ყოველგვარ ავადმყოფთათვის ექიმ ი. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის

სავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით. მიხეილის პროსპექტის და („კიროჩნის" ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კიროჩნის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

იყიდება

სახლი

12 თვალიანი სამხარეულოთი, ავიანი ორ ჩეჩზე გადის. სახლი აშენებულია მაღლობ ადგილზე და აგარაკის მაგივრობას გასწევს. ველამარი, მარტყოფის ქ. № 22. 2—1676—1

გაიხსნა

თვალის სავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141. (კინომატოგრაფი „აპოლო"-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

დოქტორი მედიცინისა

მოსკ. ანთიმოსის მე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი იმ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—81.

ექიმი

მ. წინამძღვრიშვილი

თიბათვესა და მკათათვეში იღებს ავადმყოფთ ქ. გორში 6—7 საათამდე, დეკანოზ ი. კაპანაძის ბინაზე

ექიმი

ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე.

მისამართი: მოსკოვის ქ. № 11. ჟ—1536—44

სტამბა „[illegible]" [illegible] № 4.